



**ჟურნალისტური თარგმანი და მისი თავისებურება
(ქართულ-ინგლისური პარალელური მასალის მიხედვით)**

გიორგი ხარატი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ელენე ტატიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ხარატი

08.02.2022

აბსტრაქტი

თარგმანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ჟურნალისტიკაში, რაც განპირობებულია თანამედროვე გლობალური დისკურსისა და საერთაშორისო კომუნიკაციის მზარდი მასშტაბით. თარგმანის თანამედროვე თეორიების გათვალისწინება განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო ჟურნალისტიკაში.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, განიხილოს ჟურნალისტური ტექსტების, კერძოდ, ახალი ამბების ქართულიდან ინგლისურად თარგმნის თავისებურებები; გააანალიზოს და ახსნას ის მთარგმნელობითი მიდგომები და ტენდენციები, რომლებიც ახალი ამბების ინგლისურენოვან სამიზნე ტექსტებში იკვეთება; განიხილოს ამ მიდგომების ეფექტი სამიზნე აუდიტორიაზე და მათი მნიშვნელობა გლობალურ საინფორმაციო სივრცეში.

კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ჰანს ფერმიერის “სკოპოსის” თეორია, ყოველი ცალკეული მთარგმნელობითი გადაწყვეტილების ანალიზისას კი ვხელმძღვანელობთ ლორენს ვენტურის თეორიით „გამინაურების“ და „გაუცხოების“ სტრატეგიების შესახებ.

კვლევის პროცესში გავაანალიზეთ სამ სამაუწყებლო ვებგვერდზე, „სამოქალაქო საქარველო“ (Civil.ge), „ინტერპრესნიუზი“ (INP) და „ჯემნიუსი“ (JAM News) გამოქვეყნებული ქართულენოვანი ახალი ამბები და მათი ინგლისური თარგმანები. სკოპოსის თეორიის გათვალისწინებით გამოვყავით სამიზნე ტექსტის მიზნის/დანიშნულებისა (skopos) და ადეკვატურობის უზრუნველყოფის საშუალებები, რომლებიც შევუსაბამეთ ვენტურის მთარგმნელობით სტრატეგიებს.

ანალიზის დროს ყურადღება გავამახვილეთ პრაგმატიკულ კატეგორიებსა და სამიზნე კულტურის კონტექსტზე, რომლებსაც მთარგმნელი ითვალისწინებს ახალი

ამბის თარგმნისას; ასევე დავაკვირდით, თუ როგორც იცვლება ჟურნალისტური ტექსტების აღქმა წყარო ენისა და კულტურული კონტექსტის მიღმა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაანალიზებული სამიზნე ტექსტების უმეტესობა განიცდის “გაშინაურებას”, რის შედეგადაც მთარგმნელი ნაწილობრივ ითავსებს ავტორის/ჟურნალისტის ფუნქციასა და პასუხისმგებლობას, რადგან მთარგმნელი განსაზღვრავს, თუ ჟურნალისტური ტექსტის რა ასპექტებს აქვთ მეტი მნიშვნელობა სამიზნე მკითხველისთვის. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტურ თარგმანში აუცილებელია მულტიდისციპლინური მიდგომების გათვალისწინება და განვითარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ახალი ამბების თარგმნა, სკოპოსის თეორია, სამიზნე ტექსტის დანიშნულება და ადეკვატურობა, გაუცხოებისა და გაშინაურების სტრატეგიები

Abstract

Translation holds great importance in the field global discourse and international communication. Among other professions, it has a key role in journalism, in particular in the case of international journalism and translation of foreign language press. The scientific discourse around journalistic translation is rather extensive and it includes a large body of scientific work. The goal of this Masters thesis is to discuss all the different approaches and currents of thought within the theory of journalistic translation, as well as consider the ways in which they have developed along with the practice of journalism itself; highlight the practices of translation that are put into practice within the profession of journalism and the ways in which these practices effect the perception of news texts by the target audience; attempt to answer the question, what role do they hold within the global information space? And what are the ways in which they could evolve?

This paper will also discuss practical examples of translation in journalism by examining various news articles, compare source texts with the translated news article, examine them through the lense of the “Skopos” theory and provide an analysis which would take the function of news articles or their “Skopos” into account. It is also important to discuss profession of journalism itself within a certain context and understand the ways in which a journalistic text is perceived when it is transplanted into a different cultural and linguistic context; to understand the scientific work that has been done within the field of journalistic translation as well as the different approaches and theories in the field, in order to fully understand their context. This will be done via an overview of Vermeer’s Skopos theory and Venuti’s foreignization and domestication strategies, to be followed by analysis of Georgian new articles and their English

translations from three news websites: Civil.ge, INP and JAM News. The theory of journalism and its practice must be discussed as well as their place in the global discourse.

It is also important to discuss the overlap of journalistic and transnational functions, as journalistic texts usually undergo “domestication”; as a result the translator often assumes some of the functions of journalism as they define the way a journalistic text is perceived by the recipients of these texts, as well as emphasize different aspects of the text itself. It is also necessary to consider the multidisciplinary approach in journalistic translation, as well as avenues of advancement in the field.

Keywords: Journalistic translation, news articles, Skopos theory, purpose and adequacy, domestication and foreignization